ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა

N 477
14/06/2016

477-03-4-201606141302

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის N19 დადგენილების ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 (ოთხი) ერთეული ქონების (მოძრავი ქონება) პრივატიზება განხორციელდეს უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით თანახმად დანართი №1-სა.

2. მუნიციპალური ქონებების მოკლე აღწერილობა, საწყისი საპრივატიზებო საფასური, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/“ბე“ და „ბიჯი“-ს ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართი №1-სა.

3. ფასის თაობაზე შემოთავაზებული საბოლოო თანხა (ბიჯი), რომლითაც გამოვლინდება გამარჯვებული ემატება საწყის გასაყიდ ფასს და მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო გასაყიდ ფასს.

4. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონებების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართი №2-სა.

5. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2016 წლის 14 ივნისს 17:00 საათზე და სრულდება 2016 წლის 30 ივნისს 17:00 სათზე;

6. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

7. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურს (ვ. ბერიძე) უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge.

8. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ბ. სურმანიძე) წინამდებარე ბრძანება (პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვებგვერდზე www.keda.ge.

9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს გ. ბერიძეს.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დუმბაძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა